ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 61

ქალაქი ქუთაისი 25 მარტი 2026 წელი

ქალაქ ქუთაისში, ჩეჩელაშვილის ქუჩის № 8, სარაჯიშვილის ქუჩაზე (ყოფილი სამხედრო ჰოსპიტალი) არსებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" 43-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-6 მუხლისა და მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს ქალაქ ქუთაისში, ჩეჩელაშვილის ქუჩის №8, სარაჯიშვილის ქუჩაზე (ყოფილი სამხედრო ჰოსპიტალი; საკადასტრო კოდის №03.04.25.523) არსებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ გიორგი ჭიღვარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო • საქართველო

საქართველო ქ. ქუთაისის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო
გას. №--61---
..25.. ----03---2026 წ.